სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება 749 /06

ქ. თბილისი 17 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,მაი მობაილ +''(შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბოკერია სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტის შეაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ანალიზატორების (CPV-38434000 - ანალიზატორები) სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

N	შესყიდვის ობიექტის დსახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სრული ღირებულება
1	HORIBA LAQUAtwin 3200456570 Model B-751 Compact Calcium Ion Meter	1 ცალი	1290	1290
2	Horiba NA-11 LAQUAtwin Na-11 Pocket Tester, ; Range 23 to 2300 ppm	1 ცალი	1146	1146
3	HORIBA LAQUAtwin 3200456571 Model B-771 Compact Conductivity Meter	1 ცალი	1200	1200
4	Horiba 3999960122 Model pH-11 Compact pH Meter, 1.5" Height, 4" Width, 7.25"	1 ცალი	537.6	537.6
5	Horiba Potassium LAQUAtwin K-11 Pocket Tester, ; Range 39 to 3900 pp	1 ცალი	1146	1146
6	HORIBA LAQUAtwin 3200456569 Model B-743 Compact Nitrate Ion Meter, Measu	1 ცალი	1171.2	1171.2
7	Horiba LAQUAtwin Salt 11 Waterproof Pocket Water Quality Meter	1 ცალი	616.8	616.8
8	Hanna HI96751 Sulfate Portable Photometer KIT	1 ნაკრები	1485	1485
			ჯამი	8592.6

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ***8 592 .60*** (რვაათასხუთასოთხმოცდათორმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნანა ბოლაშვილი.

4.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული ხარისხის კონტროლს.

4.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

5.2 მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გამოწერის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის N1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაახელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე.

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებშიცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის განმავლობაში;

7.2 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. შესყიდვის ობიექტის გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლით.

8.2. საგარანტიო პერიოდში ექსპლუატაციის პროცესში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით

აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს“. „მიმწოდებელი“ მისი წარმომადგენლის მიერ, საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში ორი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.
8.3. იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3% (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებისსახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია

აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებისგზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1

რეკვიზიტები:

სახაზინო სამსახური
ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის - სახელმწიფო ბიუჯეტი

ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 32 04 05 01 01
საიდენტიფიკაციო კოდი:204864548

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

_____/ნ. ოვსიანიკოვა/

მიმწოდებელი

შპს „მაი მობაილ +“

საიდენტიფიკაციო კოდი : 205294705
მისამართი : საქართველო, თბილისი, დავით ალ.ყაზბეგის N9
საბანკო რეკვიზიტები:

სს „თიბისი ბანკი “
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. ნომერი #:GE03TB 3486 7360 2010 0009

დირექტორი:

_____/ზ.ბოკერია/